

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ზუბიაშვილი

მაკოპირებელი ჩარხის მოთვალთვალე ამპრავის
ჰიდრომექანიკური სისტემის მოდელირება
და დინამიკური გამოკვლევები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ეფერ ატი

თბილისი
2013 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის N 133 საწარმოო ტექნოლოგიური მანქანების და მექატრონიკის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

თ. მჭედლიშვილი

რეცენზენტები:

1. ტ.მ.დ., სრული პროფესორი

ბ. ბოქოლიშვილი

2. ტ.მ.კ., სსიპ რ. დვალის მანქანათა მექანიკის

ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი

რ. ფარცხალაძე

დაცვა შედგება 2013 წლის "15" ივლისი , 14⁰⁰ საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, I კორპუსი, აუდიტორია N 617 გ.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 68ბ.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატის - სტუ-ს ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

დავით ბუცხრიკიძე

ნაშრომის ზოგადი დასასიათება

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების თანამედროვე ეტაპი მჭიდრო კავშირშია ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე დაფუძნებული წარმოების სრულყოფაზე და მუშების შრომის გამაუმჯობესებელი, შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზირებისა და ავტომატიზირებისათვის საჭირო მაღალმწარმოებლური მოწყობილობების შექმნაზე.

ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ხასიათდებიან მნიშვნელოვანი სირთულეებით, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ამაღლების მხრივ, განეკუთვნება თანამედროვე ტექნიკაში, კერძოდ საავეჯო წარმოებაში, გამოყენებული რთულპროფილიანი ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავება.

ცნობილია, რომ მექანიკური დამუშავებით დეტალების რთულპროფილიანი ზედაპირების ფორმაწარმოქმნას აქვს საკმაოდ ფართო ტექნოლოგიური გამოყენება. ამ მხრივ საკოპირე მექანიზმების, მრუდსახობრივი (გაღუნული და მრუდწირულ-ფასონური) დეტალების მექანიკურად დასამუშავებელი ჩარხებისა და საჩარხო სისტემების შექმნა და შემდგომი სრულყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს.

თანამედროვე ავეჯის რთულპროფილიან ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავების მექანიზირებისა და ავტომატიზირებისაკენ სწრაფვამ მიგვიყვანა, მექანიკური კოპირების პირდაპირი მოქმედების და მთლიანი გარე დატვირთვის კოპირის ზედაპირზე პირდაპირი ზემოქმედების რიგი სპეციალიზირებული და საკოპირე-სახეხი სპეციალიზირებული ჩარხების შექმნის აუცილებლობასთან.

შემუშავებული და შემუშავებაში მყოფი საკოპირე ჩარხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

- დღევანდელი დროისათვის შემუშავებული მიმყოლი მექანიზმების და საჩარხო სისტემების სტრუქტურული სქემების და კონსტრუქციების გარკვეული მრავალფეროვნების მიუხედავად შეიძლება შევსებულ იქნენ წარმოებების კონკრეტული სახეობებისთვის უფრო ეფექტური ახალი სქემებითა და კონსტრუქციული გადაწყვეტილებებით;

– ჩარხებში გამოყენებული მიმყოლი მექანიზმები განეკუთვნებიან რთულ არაწრფივ არასტაციონარულ დინამიკურ სისტემებს. დრეკად-დისიპაციური და არასტაციონარული კავშირები, დამახასიათებელი განსახილველი მიმყოლი მექანიზმების მექანიკური სისტემებისათვის, განპირობებული დრეკადი მახასიათებლებით და სისტემის ცალკეული რგოლების მდებარეობის არაწრფივი ფუნქციებით, ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მათში მიმდინარე დინამიკურ პროცესებზე, რომლებიც თავის მხრივ, მთლიანობაში ბევრად განაპირობებენ საჩარხო სისტემების მუშაობის ტექნიკურ მახასიათებლებს.

განსახილველი მიმყოლი მექანიზმების დამუშავებისა და კვლევების სამუშაოების მიმოხილვა მიგვანიშნებს მათში მიმდინარე დინამიკური პროცესების ანალიზისა და სინთეზის მეთოდებისა და მეთოდიკების ეფექტურობის ამაღლების სამეცნიერო ტექნიკური ამოცანების აქტუალობაზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებელი საჩარხო მოწყობილობების ფუნქციონალური შესაძლებლობების თვალსაზრისით ახალი უფრო სრულყოფილი სტრუქტურულად რთული მრავალგანზომილებიანი ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე მექანიზმების სქემების და მოდელების, დინამიკური კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკების შემუშავება, მიმართული განსახილველი მოწყობილობების პროექტირებისა და ექსპლუატაციის მაჩვენებლების ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

დასახული მიზნის მიღწევისთვის კვლევის ამოცანებში ჩართულია:

- რთულპროფილიანი დეტალების ხევისათვის განეკუთვნილი საჩარხო მოწყობილობების არსებული და მოდიფიცირებული სქემების, მათი აგებისა და დინამიკური კვლევის მეთოდების და მეთოდიკების ანალიზი;
- ავტომატიკის პნევმატური და ჰიდრაულიკური ელემენტებისა და სისტემების შემცველი პირდაპირი კოპირების მოდიფიცირებული სქემების მქონე საჩარხო მოწყობილობების შედარებითი ანალიზი და კვლევის ამოცანების ჩამოყალიბება;
- ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემის გამოყენება რთულპროფილიანი დეტალების ორკოორდინატიანი კოპირებით დამუშავებისათვის

გამიზნული როტორულ-სახეხი ჩარხის ფუნქციონალური და სტრუქტურული სქემების აგების საკითხების ანალიზი;

- ორკოორდინატიანი კოპირების საჩარხო სისტემის ელემენტების მოძრაობათა სტრუქტურული მოდელის შემუშავება;
- ჰიდროფიცირებულ როტორულ-სახეხ ჩარხში პნევმოცილინდრების დერძებისა და დასამუშავებელ ზედაპირთან კონტაქტის წერტილების, მმართველი რგოლისა და ჩარხის როტორის ფარდობით მოძრაობების ძირითადი კინემატიკური კანონზომიერებების განსაზღვრა რგოლთან ერთად როტორის წრიულ ბრუნვასა და დასამუშავებელი ნამზადის გრძივ მოძრაობებთან ურთიერთკავშირში;
- მთლიანი სისტემის დინამიკის მოდელში ჰიდრაულიკური ნაწილის მათემატიკური მოდელის ჩართვის სტრუქტურული საკითხის განხილვა და მოთვალთვალე სისტემების დინამიკის მათემატიკური მოდელის აგება;
- როგორც დაფიქსირებული, აგრეთვე მბრუნავი როტორიანი მოთვალთვალე სისტემის კვლევის მეთოდის შემუშავება;
- საკვლევი არაწრფივი არასტაციონალური ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემების პარამეტრული სინთეზის გამოყენებითი თეორიის შემუშავება, ამ თეორიის აპრობაცია კონკრეტული საწყისი არარეგულირებადპარამეტრებიან სისტემაზე და შემუშავებული თეორიის შესაძლებლობების ანალიზი.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს:

- ავეჯის მერქნული დეტალების ხეხვით დამუშავებისათვის გამიზნული ორკოორდინატიანი კოპირების ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემით აღჭურვილი ჩარხის შემუშავებულ ორიგინალურ სქემაში;
- აგების ორიგინალურ კანონზომიერებაში და შემოთავაზებული ჩარხის ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემის დინამიკის შემუშავებულ მოდელებში;
- დინამიკური კვლევების მიმართ გამოყენებულ ორიგინალურ მეთოდოლოგიურ მიდგომებში და კვლევის მიღებულ შედეგებში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას შეადგენენ:

მაკოპირებელი ჩარხის შემოთავაზებული ორიგინალური სქემები, საკვლევი არაწრფივი არასტაციონარული რეგულირების სისტემების მათემატიკური მოდელები, კვლევის მეთოდები და მეთოდიკები, გამიზნული საკვლევი სისტემის პარამეტრების ოპტიმიზაციური შერჩევისაკენ.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი შედეგები მოხსენებული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულენტიურ საერთაშორისო კონფერენციებზე.

პუბლიკაციები. დისერტაციის მასალები წარმოდგენილია 7 სამეცნიერო ნაშრომში და 1 გამოგონებასთან დაკავშირებულ ბიულეტენში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, ლიტერატურული მიმოხილვის, დასკვნებისა და განსჯისა და საერთო დასკვნებისაგან. წარმოდგენილია 130 გვერდზე, შეიცავს 29 ნახაზს და ლიტერატურის სიას 151 დასახელებით.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალ ნაწილში დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა.


თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა. ჩატარებულია რთულპროფილიანი ზედაპირების დამამუშავებელი ჩარხებისა და საჩარხო ხაზების აგებისა და კვლევის საკითხების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი.

გაანალიზებულია სხვადასხვა დანიშნულების რთულპროფილიანი დეტალების ფორმაწარმოქმნისათვის გამოყენებული მექანიკური დამამუშავების მეთოდების ჯგუფი.

ნაჩვენებია, რომ საავეჯო მრეწველობაში რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებისათვის ფართო გამოყენება ჰპოვეს მაკოპირებელმა ჩარხებმა. ჩატარებულია არსებული ჩარხების სქემებისა და კონსტრუქციების ანალიზი, რომელთა შორის საჭიროა აღინიშნოს თბილისის ხის დამამუშავების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტის მუშაკების საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მუშაკებთან ერთად შემუშავებული რთულპროფილიანი დეტალების დასამუშავებელი როტორულ-სახეხი ჩარხები და საჩარხო სისტემები, გამიზნული მბრუნავი ნამზადის დამუშავებისათვის მბრუნავი გასაბერი სახეხი პნევმოვილინდრებით.

ნახაზზე 1 მოყვანილია როტორულ-სახეხი მაკოპირებელი ჩარხის ერთ-ერთი ვარიანტი. ნახაზზე: 1 – დეტალი, რომელიც გადაადგილდება ნახაზის პერპენდიკულარული მიმართულებით, 2 და 6 მხრეულებიანი სახსროვანი პარალელოგრამის ბარბაცა 3-ზე დაყენებული ჩარხის როტორი; 7 და 8 – მბრუნავ როტორზე დამონტაჟებული და თავისი ღერძების მიმართ ბრუნვის ცალკე ამძრავის მქონე სახეხი პნევმოცილინდრები; 9 ზამბარების დანიშნულებაა მექანიზმის მოყვანა საწყის მდებარეობაში, დემპფერი 6 კი გამიზნულია მუშაობის პროცესში აღძრული რხევების ჩასახშობად. დეტალის მრუდწირული კონტურის ხეხვა უზრუნველყოფილია ბარბაცა 3-ის ქანაობით მხრეულებზე 4.



ნახ. 1


აღწერილი ჩარხი განპირობებულია ბრტყლად-გაღუნული რთულპროფილიანი დეტალების დასამუშავებლად ამ ჩარხის შემდგომ ფუნქციონალურ განვითარებას მიეკუთვნება ცვალებადკვეთიანი მრუდწირული ძელური დეტალების ორკოორდინატიანი მექანიკური მაკოპირებელი სისტემით აღჭურვილი ჩარხი.

აღნიშნულია, რომ აღწერილი მაკოპირებელი ჩარხების ეფექტურობის შემდგომი ამაღლების თვალსაზრისი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საჩარხო სისტემების აღჭურვა პნევმო- და ჰიდროსისტემებით.

მეორეს მხრივ კი მაკოპირებელი ჩარხების მოთვალთვალე მექანიზმები მოითხოვენ ოპტიმიზაციურ გამოთვლებს, მიმართულს მუშაობის ეფექტური სტატიკური და დინამიკური მახასიათებლების მიღებისაკენ. ამ მიზნით ჩატარებულია დინამიკური პროცესების შესწავლისა და მექანიზმების პროექტირების თანამედროვე მეთოდების მიმოხილვა. აღნიშნულია, რომ სტრუქტურულად რთული დინამიკური სისტემების, რომლებსაც მიეკუთვნებიან შემოთავაზებული მაკოპირებელი ჩარხების მოთვალთვალე სისტემები, კვლევის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდს მიეკუთვნება რეგულირების სისტემების სინთეზის მეთოდი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით.

თავი 2. შედეგები და მათი განსჯა. პნევმო და ჰიდროსისტემებით აღჭურვილი მაკოპირებელი ჩარხების მაგალითებს წარმოადგენენ ცნობილი: ავტომატიკის პნევმატური ელემენტებით აღჭურვილი სახარატო ჩარხის ფარდობითი მოძრაობებზე აგებული პირდაპირი კოპირების სისტემა და ჰიდრაულიკური მოთვალთვალე ამძრავების გამოყენებაზე აგებული როტორულ-სახეხი ჩარხი, რომლის სქემა მოყვანილია ნახ. 2. აქ, როგორც ზემოთ მოყვანილ როტორულ-სახეხი ჩარხში, საბაზო ელემენტებს წარმოადგენენ მბრუნავი სახეხი პნევმოცილინდრები 1 და 2, თვით ჩარხის როტორი 7 და მხრეულისაგან შედგენილი სახსრული პარალელოგრამი. ძველი ჩარხისაგან განსხვავებით საკუთარი დერძების ირგვლივ მბრუნავი სახეხი პნევმოცილინდრები სახსრულადაა დაყენებული ჩარხის როტორზე და არიან დახამბარებულნი ზამბარებით 10, სახეხი პნევმოცილინდრები თავის მხრეულებთან ერთად გაწონასწორებულია საპირწონებით 17, დემპფერების 11 დანიშნულებაა დამუშავების პროცესში აღძრული რხევების ჩახშობა. ნამზადის პროფილის მიმართულებით სახეხი პნევმოცილინდრების მოთვალთვალე გადაადგილებები. ნახ. 1-ზე მოყვანილი ძველი ჩარხისაგან განსხვავებით 12 და 13 მხრეულებთან სახსრულად დაკავშირებული მოთვალთვალე რგოლის მეშვეობით გადაეცემიან ჩარხის როტორს არა პირდაპირ,

არამედ ჰიდრომექანიკური კინემატიკური კაჭკით, რომელიც შედგება ბერკეტიდან – 15, სახსრული პარალელოგრამის ბარბაცაზე დაყენებული მმართველი მოთვალთვალე მკვეთარისაგან – 8 და ჰიდროცილინდრისაგან – 9. ზამბარები 14 და 16 საჭიროა მმართველი რგოლის ჩარხის როტორის მიმართ საწყის მდებარეობაში დასაბრუნებლად.




ნახ. 2

აღწერილი ჰიდროფიცირებული ჩარხის შემდგომი ფუნქციონალური და შესაბამისად სტრუქტურული სრულყოფის თვალსაზრისით ნაშრომში შემოთავაზებულია მრუდწირულ-ფასონური დეტალების ჰიდროფიცირებული როტორულ-სახეხი ჩარხი, რომლის სტრუქტურული სქემა მოყვანილია ნახ. 3..

ნახ. 3: 1 – საჩარხო როტორი, 2 – სახეხი პნევმოცილინდრების ღერძული გადაადგილებების მუშტა მექანიზმი, 5, 6 და სახეხი ცილინდრების მექანიზმის მხრეულები, 7, 8, 4 – სპეციალური რგოლი, რომელიც სახსრულად დაკიდულია ბერკეტული მექანიზმების მეშვეობით 13, 14, 19-22 ჩარხის როტორზე, 23 – მქნევარა, 24 და 25 – მქნევარები, რომლებზედაც სახსრულად დაკიდულია მქნევარა 23. რგოლი 4 ჰორიზონტალური მიმართულებით (23 მქნევარას სიბრტყის გასწვრივ) ზემოქმედებს ბერკეტული გადაცემის მეშვეობით მოთვალთვალე მკვეთარაზე, რომელიც დამაგრებულია მქნევარა 23-ზე. ეს მკვეთარების

სისტემა ზეთსადენების მეშვეობით დაკავშირებულია ჰიდრავლიკურ ცილინდრთან 27, რომელიც დგუმის კოჭით დაკავშირებულია მხრულთან 24. დემპფერი 17 და 18 განკუთვნილია სახეხი ცილინდრების მექანიზმის რხევების ჩასახშობად.




ნახ. 3

განხილული მოთვალთვალე სისტემის დინამიკის მათემატიკური მოდელის ასაგებად პირველ რიგში განვიხილავთ ჩარხის მუშა ორგანოების ფარდობითი მოძრაობების კინემატიკას მაკოპირებელი მოძრაობების რეალიზაციის პროცესში. ამასთან დაკავშირებით (ნახ. 4)-ზე წარმოდგენილია პნევმოცილინდრების ფარდობითი მოძრაობების კინემატიკის სქემა, სიბრტყეში, რომელიც პერპენდიკულარულია ნამზადის ღერძული გადაადგილების ვექტორისა.

ნახ. 4: 1 – დასამუშავებელი ნამზადი, 2 – სახეხი პნევმოცილინდრი; 3 – მოთვალთვალე რგოლი; O_p და O_s – ნამზადისა და როტორის ღერძების მიმდინარე მდებარეობები, რომლებიც ხასიათდება შესაბამისად X_p და X_s კოორდინატებით, უძრავ საკოორდინატო სისტემაში $O_0x_0y_0z_0$.

O_k – რგოლის ღერძის მიმდინარე მდებარეობა 3; φ – როტორის ბრუნვითი მოძრაობის კუთხური კოორდინატი; α – როტორის დამჭერი მხრეულის მოქანავე მოძრაობის კუთხური კოორდინატი; 4 – მხრეული, რომელიც კინემატიკურად არის დაკავშირებული პნევმოცილინდრების რადიალურ გადაადგილებასთან (მხრეულები 7 და 8 ნახ. 1); 5 – ზამზარა, რომელიც დაყენებულია პნევმოცილინდრებსა და მოთვალთვალე რგოლს შორის კინემატიკურ ჯაჭვში.



ნახ. 4

მიმდინარე გადაადგილება პნევმოცილინდრის ნამზადთან კონტაქტის წერტილისა y' ღერძის მიმართულებით კოორდინატთა სისტემის მიმართ გამოისახება დამოკიდებულებით

$$y_k = x_k |\sin \varphi| + r_3, \quad (1)$$

სადაც x_k – K წერტილის კოორდინატაა, ხოლო r_3 – ნამზადის კვეთის რადიუსი.

პნევმოცილინდრების ბრუნვის ცენტრების მდებარეობა გამოისახება შემდეგნაირად

$$y_{u1} = x_{31}|\sin \varphi| - x_p|\sin \varphi| + (R - \delta_1) \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}); \quad (2)$$

$$y_{u2} = x_{32}|\sin \varphi| - x_p|\sin \varphi| - (R - \delta_2) \cos \gamma_2 - r_3(x_{k2}), \quad (3)$$

სადაც δ_1 და δ_2 – შესაბამისად არის პირველი და მეორე პნევმოცილინდრების მიმდინარე დეფორმაციები; γ_1 და γ_2 მხრების დახრის კუთხეები პირველი და მეორე პნევმოცილინდრების K_1 და K_2 კონტაქტის წერტილებში; x_{31} და x_{32} – ნამზადის ღერძის კოორდინატები K_1 და K_2 კონტაქტის წერტილებში; y_{u1} და y_{u2} – პნევმოცილინდრების ბრუნვის ცენტრების კოორდინატები; R – პნევმოცილინდრის დიამეტრი აქ x_{31} და x_{32} არის ფუნქციები

$$x_{31} = f(x_k) \text{ და } x_{32} = f(x_k)$$

და თავისთავად $r(x_k)$ – განისაზღვრება ნამზადის კვეთის რადიუსი, რომელიც მრუდწირულ-ფასონური ზედაპირების შემთხვევაში არის ცვლად ურთიერთკავშირში კონტაქტის წერტილების K_1 და K_2 ღერძულ მდებარეობებთან

თანახმად (2) და (3)

$$\delta_1 \cos \gamma_1 = (x_{31} - x_p)|\sin \varphi| + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}) - y_{u1}; \quad (4)$$

$$-\delta_1 \cos \gamma_2 = (x_{32} - x_p)|\sin \varphi| - R \cos \gamma_2 + r_3(x_{k2}) - y_{u2}. \quad (5)$$

უკანასკნელიდან

$$\delta_1 = \frac{1}{\cos \gamma_1} [(x_{31} - x_p)|\sin \varphi| - y_{u1} + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1})]; \quad (6)$$

$$\delta_2 = \frac{1}{\cos \gamma_2} [-(x_{32} - x_p)|\sin \varphi| + y_{u2} + R \cos \gamma_2 + r_3(x_{k2})]. \quad (7)$$

$$\Pi_\delta = \Pi_{\delta_1} + \Pi_{\delta_2} = \frac{1}{2} C_\delta \delta_1^2 + \frac{1}{2} C_\delta \delta_2^2; \quad (8)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta_1}}{\partial y_{u1}} = -\frac{C_\delta}{(\cos \gamma_1)^2} [(x_{31} - x_p)|\sin \varphi| + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}) - y_{u1}]; \quad (9)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta_2}}{\partial y_{u2}} = \frac{C_\delta}{(\cos \gamma_2)^2} [-(x_{32} - x_p)|\sin \varphi| + R \cos \gamma_2 + r_3(x_{k2}) + y_{u2}]; \quad (10)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta_1}}{\partial x_p} = \frac{C_\delta}{(\cos \gamma_1)^2} [(x_{31} - x_p)|\sin \varphi| + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}) - y_{u1}] (-|\sin \varphi|); \quad (11)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta 2}}{\partial x_p} = \frac{C_\delta}{(\cos \gamma_2)^2} \left[-(x_{s2} - x_p) |\sin \phi| + R \cos \gamma_2 + r_s(x_{k2}) - y_{u2} \right] |\sin \phi|; \quad (12)$$

$$\Pi_{c11} = \frac{1}{2} C_1 (y_{u1} - y_k)^2; \quad (13)$$

$$\Pi_{c12} = \frac{1}{2} C_1 (y_{u2} - y_k)^2; \quad (14)$$

$$\Pi_{c2} = \frac{1}{2} C_1 (y_k |\sin \phi| - x_p)^2; \quad (15)$$

$$\frac{\partial \Pi_{c2}}{\partial x_p} = C_2 (y_k |\sin \phi| - x_p) |\sin \phi|; \quad (16)$$

$$\frac{\partial \Pi_{c2}}{\partial x_p} = -C_2 (y_k |\sin \phi| - x_p) |\sin \phi|; \quad (17)$$

$$\frac{\partial \Pi_{c11}}{\partial y_{u1}} = C_1 (y_{u1} - y_k); \quad (18)$$

$$\frac{\partial \Pi_{c12}}{\partial y_{u2}} = C_1 (y_{u2} - y_k); \quad (19)$$

$$\frac{\partial \Pi_{c11}}{\partial y_k} = -C_1 (y_{u1} - y_k); \quad (20)$$

$$\frac{\partial \Pi_{c12}}{\partial y_k} = -C_1 (y_{u2} - y_k), \quad (21)$$

სადაც C_δ – პნევმოცილინდრების სიხისტე, C_1 – ზამბარების სიხისტე, რომლებიც დაყენებულია მოთვალთვალე რგოლსა და პნევმოცილინდრების მსრუელებს შორის; C_2 – ზამბარების სიხისტე, რომლებიც მოთავსებულია ჰიდრაულიკური გამანაწილებლის მკვეთარასა და მოთვალთვალე რგოლს შორის; $\Pi_{\delta 1}$, $\Pi_{\delta 2}$, Π_{c11} , Π_{c12} და Π_{c2} – პოტენციური ენერჯის შემდგენები, განსაზღვრული შესაბამისი დრეკადი ელემენტებით.

ლაგრანჟის მეორე გვარის განტოლების მეშვეობით, ზოგადი ფორმით რგოლის დინამიკის განტოლება (ზემოქმედ მოწყობილობებთან ერთად) დაიწერება ასე:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_\kappa}{\partial \dot{y}_\kappa} \right) - \frac{\partial T_\kappa}{\partial y_\kappa} = - \frac{\partial \Pi}{\partial y_\kappa} - \frac{\partial \Phi}{\partial \dot{y}_\kappa} + Q_1 + Q_2; \quad (22)$$

$$T_\kappa = \frac{1}{2} m_p (\dot{x}_p)^2 + \frac{1}{2} m_\kappa (\dot{y}_\kappa)^2 + \frac{1}{2} m_{u1} (\dot{y}_{u1})^2 + \frac{1}{2} m_{u2} (\dot{y}_{u2})^2, \quad (23)$$

$$\Phi_{\kappa} = \frac{1}{2}b_{\kappa} \left[\frac{d}{dt}(x_p |\sin \phi| - y_{\kappa}) \right]^2 + \frac{1}{2}b_{u1}(\dot{y}_{u1} - \dot{y}_{\kappa})^2 + \frac{1}{2}m_{u2}(\dot{y}_{u2} - \dot{y}_{\kappa})^2. \quad (24)$$

T_{κ} , Π_{κ} და Φ_{κ} – შესაბამისად კინეტიკური და პოტენციური ენერგია და ანალიზებადი სისტემის დისიპატიური ფუნქცია.

აქ

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_{\kappa}}{\partial \dot{y}_{\kappa}} \right) - \frac{\partial T_{\kappa}}{\partial y_{\kappa}} = - \frac{\partial \Pi_{\kappa}}{\partial y_{\kappa}} - \frac{\partial \Phi_{\kappa}}{\partial \dot{y}_{\kappa}}; \quad (25)$$

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_{\kappa}}{\partial \dot{y}_{\kappa}} \right) - \frac{\partial T_{\kappa}}{\partial y_{u1}} = - \frac{\partial \Pi_{\kappa}}{\partial y_{u1}} - \frac{\partial \Phi_{\kappa}}{\partial \dot{y}_{u1}} + Q_{p1}; \quad (26)$$

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_{\kappa}}{\partial \dot{y}_{u2}} \right) - \frac{\partial T_{\kappa}}{\partial y_{u2}} = - \frac{\partial \Pi_{\kappa}}{\partial y_{u2}} - \frac{\partial \Phi_{\kappa}}{\partial \dot{y}_{u2}} + Q_{p2}, \quad (27)$$

სოლო განზოგადოებული ძალების გამოსახულება:

$$Q_{p1} = f_p C_{\delta} \delta_1 \sin \gamma_1 |\sin \phi|; \quad (28)$$

$$Q_{p2} = f_p C_{\delta} \delta_1 \sin \gamma_2 |\sin \phi|, \quad (29)$$

$$\gamma_1 = \arctg \left(\frac{\partial f_{31}}{\partial z_k} |\sin \phi| \right),$$

$$\gamma_2 = \arctg \left(\frac{\partial f_{32}}{\partial z_k} |\sin \phi| \right),$$

სადაც f_{31} და f_{32} – პროფილური მრუდების პირობითი აღნიშვნები კონტაქტური წერტილების K_1 და K_2 ფარგლებში; z_k – ნამზადის მოძრაობის გრძივი კოორდინატი; f_p – ჭრის ძალის კოეფიციენტი.

შეგვიძლია გადავიდეთ განტოლებების გაშლილ ფორმაზე, რომელიც გამოისახება შემდეგი სისტემით:

$$m_{u1} \ddot{y}_{u1} + b_{u1}(\dot{y}_{\kappa} - \dot{y}_{u1}) + C_{\delta} \frac{1}{\cos^2 \gamma_1^2} [(x_{31} - x_p) |\sin \phi| + R \cos \gamma_1 + r(x_{\kappa 1}) - y_{u1}] + C_{11}(y_{u1} - y_{\kappa}) = Q_{p1}; \quad (30)$$

$$m_{u2} \ddot{y}_{u2} + b_{u2}(\dot{y}_{u2} - \dot{y}_{\kappa}) + C_{\delta} \frac{1}{\cos^2 \gamma_2} [(x_{32} - x_p) |\sin \phi| + R \cos \gamma_2 + r(x_{\kappa 2}) - y_{u2}] + C_{12}(y_{u2} - y_{\kappa}) = Q_{p2}; \quad (31)$$

$$m_{\kappa} \ddot{y}_{\kappa} + b_{u1}(\dot{y}_{\kappa} - \dot{y}_{u1}) + b_{u2}(\dot{y}_{\kappa} - \dot{y}_{u2}) + C_{11}(y_{\kappa} - y_{u1}) + C_{12}(y_{\kappa} - y_{u2}) +$$

$$+ C_2(y_k |\sin \varphi| - x_p) |\sin \varphi| = 0. \quad (32)$$

ამ განტოლებებში m_{u1} , m_{u2} – მასები, რომლებიც განსაზღვრულია სახესი პნევმოცილინდრების მასებით და მათზე დაყვანილი ერთობლივად გადაადგილებადი მექანიკური რგოლების მასებით.

გამოსაკვლევი მოთვალთვალე ამძრავის ჰიდრავლიკური ნაწილის დინამიკის განტოლება შეიძლება დაიწეროს შემდეგნაირად:

$$\frac{d}{dt} F_{zu} + k_{\omega} \dot{x} = k_{\omega} k_{v1} \sqrt{1 - \frac{1}{p_n F} (F_{zu} + B_2 \ddot{x} + B_1 \dot{x}) \text{sign} \varepsilon \cdot \varepsilon}, \quad (33)$$

სადაც p_n – სითხის წნევა, რომელიც მოყვანილია მმართველი ოთხღარიან მკვეთარასთან, k_{ω} და k_{v1} – შესაბამისად, სისხტის კოეფიციენტები და ჰიდრავლიკური სისტემის დაყვანილი გაძლიერების კოეფიციენტი სიჩქარის მიხედვით; B_1 – კოეფიციენტი, რომელიც აღრიცხავს ბლანტი ხახუნის დანაკარგს ზეთსადენებში, რომლებიც აერთებს მკვეთარულ გამანაწილებელს ჰიდროცილინდრთან; B_2 – კოეფიციენტი, რომელიც აღრიცხავს დანაკარგს ინერციის ძალიდან, გამოწვეულს ამ ზეთსადენებში მოთავსებული სითხისაგან; x – ჰიდროცილინდრის დგუშის გადაადგილების კოორდინატი; F_{zu} – ჰიდროცილინდრის კოჭზე მოდებული ძალა.

თავის მხრივ:

$$F_{zu} = k_r \left(m_p \ddot{x}_p + b_p \dot{x}_p + \frac{\partial \Pi_{\Sigma c}}{\partial x_p} + \frac{\partial \Phi}{\partial \dot{x}_p} + Q_{mpx} \right) + F_{mpx} \text{sign} \dot{x}_p, \quad (34)$$

სადაც k_r – როტორის ღერძზე და ძალური პნევმოცილინდრზე მოდებული ძალების დაყვანის კოეფიციენტი:

$$Q_{mpx} = f_{mp} C_{\delta} (\delta_1 + \delta_2) |\cos \varphi| \text{sign} \dot{x}_p; \quad (35)$$

$$\begin{aligned} \frac{\partial \Pi_{\Sigma c}}{\partial x_p} &= 2C_1 \sin^2 \varphi x_p - 2C_1 |\sin \varphi| y_k + 2C_2 \sin^4 \varphi x_p - \\ &- 2C_2 \sin^2 \varphi |\sin \varphi| y_k = 2(C_1 \sin^2 \varphi + C_2 \sin^4 \varphi) x_p - \\ &- 2(C_1 |\sin \varphi| + C_2 \sin^2 \varphi |\sin \varphi|) y_k, \end{aligned} \quad (36)$$

f_{mp} – მშრალი ხახუნის ძალის კოეფიციენტი; m_p – ჩარხის როტორის ღერძზე დაყვანილი გადაადგილებადი ნაწილების მასა; b_p –

დემპფირების კოეფიციენტი; F_{mpx} – ხახუნის ძალა ჰიდროცილინდრში და ჩარხის მექანიზმებში, დაყვანილი x_p კოორდინატზე; Φ – დისიპაციური ფუნქცია.

გაშლილი ფორმით გვექნება:

$$\begin{aligned} & k_2(m_p\ddot{x} + b_p\dot{x}_p) + \frac{k_{\omega c}}{k_2}\dot{x}_p + k_2\left(\frac{\partial\Pi_{\delta_1}}{\partial x_p} + \frac{\partial\Pi_{\delta_2}}{\partial x_p}\right) + k_2b_p\dot{x}_p + \frac{\partial\Pi_{c2}}{\partial x_p} = \\ & = k_{\omega c}k_{v1}\sqrt{1 - \frac{1}{P_n F}(F_{zu} + B_2\ddot{x} + B_1\dot{x})\text{sign}(y_\kappa - x_p)|\sin\phi|\sin\phi)} \times \\ & \times (y_\kappa - x_p|\sin\phi)|\sin\phi, \end{aligned} \quad (37)$$

სადაც

$$\begin{aligned} F_{zu} & = k_r[(m_p\ddot{x}_p + b_p\dot{x}_p)2C_1\sin^2 x_p + 2C_2|\sin^3\phi|x_p + b_\kappa|\sin\phi|\dot{x}_p + \\ & + f_{mp}C_\delta(\delta_1 + \delta_2)|\cos\phi|\cdot\text{sign}\dot{x}_p - 2C_1|\sin\phi|y_\kappa 2C_2\sin^2\phi y_\kappa - b_\kappa\dot{y}_\kappa] = \\ & = k_r[(m_p\ddot{x}_p + b_p\dot{x}_p)2(C_2\sin^2 x + c_2|\sin^3\phi|x_p + b_\kappa|\sin\phi|\dot{x}_p - \\ & = -2(C_1|\sin\phi| - C_2\sin^2\phi)y_\kappa - b_\kappa\dot{y}_\kappa + f_{mp}C_\delta(\delta_1 + \delta_2)|\cos\phi|\cdot\text{sign}\dot{x}_p + \\ & + m_p\ddot{x}_p + b_p\dot{x}_p]k_r, \end{aligned} \quad (38)$$

F – შემსრულებელი ჰიდროცილინდრის დგუშის ფართობი;

$$k_{v1} = k_{p1}k_v;$$

k_{p1} – მკვეთარაზე მომქმედი, ბერკეტის გადაცემის რიცხვი; k_v – გაძლიერების კოეფიციენტი ჰიდრავლიკური სისტემის სიხქართით.

გარდაქმნილი სახით გვექნება:

$$\begin{aligned} & k_2m_p\ddot{x}_p + k_2b_p\dot{x}_p + \frac{k_{\omega c}}{k_2} + k_2\left\{\frac{1}{\cos^2\gamma_2}[(x_{31} - x_p)|\sin\phi| + R\cos\gamma_1 + \right. \\ & \left. + r_3(x_{\kappa1}) - y_{u1}](-|\sin\phi|) + \frac{1}{(\cos^2\gamma_2)^2}[(x_{31} - x_p)|\sin\phi| + \right. \\ & \left. + R\cos\gamma_2 + r_3(x_{\kappa2}) + y_{u2}]\right\}|\sin\phi| + k_2b_p\dot{x}_p - c_2(y_\kappa|\sin\phi)|\sin\phi| = \\ & = k_{\omega c}k_v\sqrt{1 - \frac{1}{P_n F}(F_{zu} + B_2\ddot{x} + B_1\dot{x})\text{sign}(y_\kappa - x_p)|\sin\phi|\sin\phi)} \times \\ & \times (y_\kappa - x_p|\sin\phi)|\sin\phi. \end{aligned} \quad (39)$$

აქვე აღნიშნავთ, რომ მიღებული მოდელი არაწრფივი არასტაციონარული სისტემისათვის დამატებული უნდა იყოს ტრანსცენდენტური ალგებრული განტოლებებით:

$$z_{\kappa 1} = z_{u01} + (R - \delta_1) \sin \gamma_1; \quad (40)$$

$$z_{\kappa 2} = z_{u02} + (R - \delta_2) \sin \gamma_2, \quad (41)$$

შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$\begin{aligned} & k_z m_p \ddot{x}_p + k_z b_p \ddot{x}_p + k_{\kappa p} \dot{x}_p + k_z b_p \dot{x}_p + C_2 x_p |\sin \phi| + \\ & + k_z |\sin^2 \phi| \left(\frac{1}{\cos^2 \gamma_1} + \frac{1}{\cos^2 \gamma_2} \right) x_p + k_z \Delta x_3 + k_z \Delta R_\gamma |\sin \phi| + \\ & + r_z \Delta x_{31} + r_z \Delta R_\gamma |\sin \phi| + k_z \Delta \tau_{3\kappa} |\sin \phi| - k_z \frac{|\sin \phi|}{\cos^2 \gamma_1} y_{u1} + k_z \frac{|\sin \phi|}{\cos^2 \gamma_2} y_{u2} = \\ & = k_{\kappa c} k_v \sqrt{1 - \frac{1}{p_n F} (F_{zu} + B_2 \ddot{x} + B_1 \dot{x}) \text{sign}(y_\kappa - x_p |\sin \phi| \sin \phi)} \times \\ & \times (y_\kappa - x_p |\sin \phi|) |\sin \phi|, \end{aligned} \quad (42)$$

$$\Delta x_3 = \frac{|\sin^2 \phi|}{\cos^2 \gamma_1} x_{31} - \frac{|\sin^2 \phi|}{\cos^2 \gamma_2} x_{32}; \quad (43)$$

$$\Delta R_\gamma = R \left(\frac{1}{\cos \gamma_1} - \frac{1}{\cos \gamma_2} \right); \quad (44)$$

$$\Delta r_{3\kappa}(x_\kappa) = \frac{r_3(x_{\kappa 1})}{\cos^2 \gamma_1} - \frac{r_3(x_{\kappa 2})}{\cos^2 \gamma_2}, \quad (45)$$

მიღებული დამოკიდებულებების გამოყენებით ვახორციელებთ დინამიკის გასაშუალებულ და გაწრფივებულ მოდელებზე გადასვლას, რაც წარმოადგენს რთულ არაწრფივი არასტაციონარული სისტემების ეფექტური შესწავლის საფუძველს.

უპირველეს ყოვლისა ვიხილავთ გამოსაკვლევი სისტემის ჰიდრავლიკური ნაწილის არაწრფივი და არასტაციონალური დინამიკის განტოლების გაწრფივების ამოცანას.

გაწრფივების პროცედურების ჩატარების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი განტოლებათა სისტემა:

$$\begin{aligned} m_{u1} \ddot{y}_{u1} + b_{u1} \dot{y}_{u1} + (C_{\delta 1}^* + C_{11}) y_{u1} &= C_{\delta 1}^* (x_{31} - x_p) |\sin \phi| + C_{\delta 1}^* \cos \gamma_1 R + \\ & + r(x_{\kappa 1}) + C_{11} y_\kappa + b_{u1} \dot{y}_\kappa + Q_{p1}; \end{aligned} \quad (46)$$

$$m_{u2}\ddot{y}_{u2} + b_{u2}\dot{y}_{u2} + (C_{\delta 2}^* + C_{12})y_{u2} = C_{\delta 2}^*(x_{32} - x_p)|\sin \varphi| - C_{\delta 2}^* \cos \gamma_2 R - r(x_{\kappa 2}) + C_{12}y_{\kappa} + b_{u2}\dot{y}_{\kappa} - Q_{p2}; \quad (47)$$

$$m_{\kappa}\ddot{y}_{\kappa} + (b_{u1} + b_{u2})\dot{y}_{\kappa} + (C_{11} + C_{12})y_{\kappa} + C_2y_{\kappa}|\sin^2 \varphi|y_{\kappa} = C_{11}y_{u1} - C_{12}y_{u2} + C_2x_p|\sin \varphi|; \quad (48)$$

$$k_r m_p \ddot{x}_p + k_r b_p \dot{x}_p + \frac{k_{\text{жс}}}{k_r} \dot{x}_p + b_x(t)\dot{x}_p + C_x(t)x_p + b_{m\ddot{x}}(t)\ddot{x}_p + b_{x\varepsilon}(t)x_p + C_{x\varepsilon}(t)x_p + k_{\text{жс}}k_{v1} \sin^2 \varphi x_p + [k_r f_{mp1} C_{\delta} |\cos \varphi| + F_{mpx}] \frac{d}{dt} (\text{sign} \dot{x}_p) = k_{\text{жс}}k_{v1} |\sin \varphi| y_{\kappa} + b_{xy}(t)\dot{y}_{\kappa} + C_{xy}(t)y_{\kappa} - C_{mp\varepsilon}(t) \text{sign} \dot{x}_p + C_y(t)\dot{y}_{\kappa} + b_{\kappa}\ddot{y}_{\kappa} + k_r \Delta x_3 + k_r \Delta r_3(x_{\kappa}) |\sin \varphi| + k_r \Delta R_{\gamma} |\sin \varphi|, \quad (49)$$

б)д)з)

$$b_x(t) = 2C_1 \sin^2 \varphi + 2C_2 |\sin^3 \varphi| + b_{\kappa} |\cos \varphi| \dot{\varphi};$$

$$C_x(t) = 2C_1 \sin^2 \dot{\varphi} + 6C_2 |\sin^3 \varphi| \dot{\varphi};$$

$$C_y(t) = 2(C_2 \sin^2 \varphi + C_1 |\sin \varphi|);$$

$$b_{m\ddot{x}}(t) = A_{m\ddot{x}} \varepsilon(t);$$

$$b_{x\varepsilon}(t) = A_{bx} \varepsilon(t);$$

$$C_{x\varepsilon}(t) = A_{cx} (C_1 \sin^2 \varphi + C_2 |\sin^3 \varphi|) \varepsilon(t);$$

$$b_{xy}(t) = K_b \varepsilon(t);$$

$$C_{xy}(t) = 2K_b b_{\kappa} (C_1 \sin^2 \varphi + C_2 |\sin^2 \varphi|) \varepsilon(t);$$

$$C_{mp\varepsilon}(t) = \frac{k_r k_{\text{жс}} k_v}{2 p_n F} [f_{mp} C_{\delta} (\delta_1 + \delta_2) |\cos \varphi| + F_{mpx}] \varepsilon(t);$$

$$A_{m\ddot{x}} = K_b (m_p + B_2);$$

$$A_{B\ddot{x}} = K_b (B_1 + b_p);$$

$$K_b = \frac{k_r k_{\text{жс}} k_v}{2 p_n F};$$

$$\varepsilon(t) = (y |\sin \varphi| - \sin^2 \varphi x_p);$$

$$C_y(t) = 2(C_2 \sin^2 \varphi + C_1 |\sin \varphi|);$$

$$C_{\varphi}(t) = f_p C_{\delta} (\delta_{1\Delta} \sin \gamma_1 + \delta_{2\Delta} \sin \gamma_2) |\sin \varphi| = f_p C_{\delta} \delta_{\Delta \gamma} |\sin \varphi|.$$

ამის შედეგად მიღებულ იქნა საკვლევი სისტემის დინამიკის გაწრფივებული არასტაციონარულ მოდელი, რომელიც არასტაციონარული სისტემების ანალიზის ცნობილი მეთოდების თანახმად ითვალისწინებს გასაშუალებებულ დინამიკურ მოდელზე გადასვლას.

გასაშუალებებულ მოდელზე გადასასვლელად გამოყენებული იქნა შემდეგი დამოკიდებულებები.

$$\cos^2 = 0,5 + 0,5 \cos 2\varphi ;$$

$$|\sin \varphi| \approx a_{\varphi s} - a_{\varphi s1} \cos 2\varphi ;$$

$$|\cos \varphi| \approx a_{\varphi c} + a_{\varphi c1} \cos 2\varphi ;$$

$$|\sin^3 \varphi| \approx a_{\varphi s0} - a_{\varphi s1} \cos 2\varphi a_{\varphi s2} - \cos 4\varphi ;$$

$$|\sin^3 \varphi| |\sin \varphi| = 0,375 - 0,5 \cos 2\varphi + 0,125 \cos 4\varphi ;$$

$$|\sin^3 \varphi| \sin^2 \varphi = (0,5a_{\varphi s1}^2 + 0,5a_{\varphi s0}) - (0,5a_{\varphi c1} + 0,5a_{\varphi s0} + 0,25a_{\varphi s2}) \cos 2\varphi - (0,5a_{\varphi s2} - 0,5a_{\varphi s1}^2) \cos 4\varphi + 0,25a_{\varphi s2} \cos 6\varphi,$$

სადაც

$$0a_{\varphi s0} = 0,5a_{\varphi s} + 0,25a_{\varphi s1}^2 ;$$

$$a_{\varphi s1} = 0,5(a_{\varphi s} + a_{\varphi s1}) ;$$

$$a_{\varphi s2} = 0,5a_{\varphi s1}.$$

ზემოთ მიღებული მათემატიკური მოდელები, შეესაბამება სამუშაო რეჟიმს მბრუნავი როტორით. მუშაობის რეჟიმში, როდესაც როტორი დაფიქსირებულია საქმე გვაქვს რეგულირების სტაციონარულ სისტემასთან. ასეთი სისტემის მათემატიკური მოდელის აგებისათვის აუცილებელია გამოყენებული იქნეს შემდეგი საწყისი წინამორბედ ამოცანებთან შედარებით გარკვეულ წილად სახეცვლილი გამოსახულებები:

$$\frac{\partial \Pi_{\delta_1}}{\partial y_{u1}} = \frac{1}{\cos^2 \gamma_1} [(x_s - x_p) + R \cos \gamma_1 - r_s - y_{u1}] C_{\delta} ; \quad (50)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta_2}}{\partial y_{u2}} = \frac{1}{\cos^2 \gamma_2} [-(x_s - x_p) + R \cos \gamma_2 - r_s - y_{u1}] C_{\delta} ; \quad (51)$$

